713-1200

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №53

ქ. რუსთავი 15 აგვისტო 2013წ.

ერთის მხრივ, შპს **„მაპანეტი-7“-ი** წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **მადონ ჩარგეიშვილის** სახით (შემდგომში “შემსრულებელი“), და მეორეს მხრივ **სსიპ სიმო სხირტლაძის სახელობის ონი საჯარო სკოლა** წარმოდგენილი დირექტორის **დალი რაზმაძი** სახით (შემდგომში “დამკვეთი“) — ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

“დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო “შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, შეადგინოს ქ. ონში, მინდელის ქუჩა № 1-ში მდებარე სკოლის შენობს შიდა აზომვითი და საკადასტრო აზმოვითი ნახაზები, შემდგომში “სამუშაო“ და ჩააბაროს “დამკვეთს“ აღნიშნულ ვადებში.

## ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სამუშაოს“ დასრულებამდე. სამუშაოს შესრულების ვადაა 30 დღე.

## ხელშეკრულების პირობები

“დამკვეთი“ ვალდებულია გადაუხადოს “შემსრულებელს“ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება სამუშაოს დასრულების შემდეგ ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო დასრულებულად ითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## მომსახურების ღირებულება

ხელშეკრულების საფუძველზე “შემსრულებლის“ მიერ ჩასატარებელი სამუშაოს მთლიანი ღირებულება შეადგენს **1200.00(ათას ორასი ლარი 00 თეთრი)**ლარს.

## სანქციები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა გამოწვეული არ არის “დამკვეთი“-ს მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, “შემსრულებელი“ უხდის “დამკვეთს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში (თუ ეს დაგვიანება გამოწვეულია “დამკვეთი“-ს მიზეზით) “დამკვეთი“ უხდის “შემსრულებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## სხვა პირობები

ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

ამ ხელშეკრულების საერთო პირობები, მათ შორის ფორს-მაჟორისა და ინსპექტირების პირობები, მიიღება "დებულება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" (დამტკიცებულია შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მიერ 03.01.2006 წლის №1 ბრძანებით) დანართის სახით.

## ანგარიშწორების წესი

მიმდინარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს, "დამკვეთსა" და "შემსრულებელს" შორის როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

**"შემსრულებელი"**

შპს „მაპანეტი-7" ს.კ. 216452871

ქ. რუსთავი კლდიაშვილის №4/41

სს "ბანკი კონსტანტა"

ბ.კ. CNSBGE22

ა/ა GE16CN0000036201323148

ტელ: 577 72 00 37

დირექტორის

მოადგილე: /მ. ჩარგეიშვილი/

**"დამკვეთი"**

სსიპ სიმონ სხირტლაძის

სახელობის ონი საჯარო სკოლა

ქ. ონი, მინდელის ქუჩა № 1

ტელ: 599 56 68 50

დირექტორი: /დ. რაზმაძე/